



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #55

ივლისი-აგვისტო, 2016

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

ჯანდაცვის უწყება ელექტრონული რეცეპტის ახალ სისტემაზე გადადის

1  
ჯანდაცვის  
უწყება  
ელექტრონული  
რეცეპტის ახალ  
სისტემაზე  
გადადის



„ისეთ ამბიციურ გამოწვევასთან, როგორც არის ჯანდაცვის სისტემის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა, პირველი ნაბიჯი გადაიდგა - ელექტრონული რეცეპტი ამოქმედდა“ - ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგენჯომ განაცხადა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს არის პირველი, ყველაზე სასწრაფო ნაბიჯი სამედიცინო დოკუმენტაციის

ელექტრონულ ფორმატზე გადასვლისკენ.

2  
„მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტომ“  
„კიბერკლასის“  
პროექტის  
ფარგლებში  
მსმენელთა მეორე  
ნაკადის მიღება  
დაიწყო

3  
უზენაეს  
სასამართლოში  
სასამართლოებში  
საქმეთა  
ელექტრონული  
განაწილების  
სისტემის  
დანერგვისთვის  
შექმნილი  
სამუშაო ჯგუფის  
მეორე შეხვედრა  
გაიმართა

ჯანდაცვის მინისტრმა ელექტრონული რეცეპტის დადებით მხარეებზე ისაუბრა და განმარტა, რა რისკებს შეამცირებს რეცეპტების ეს ფორმა ჯანდაცვაში. „ელექტრონული რეცეპტის ამოქმედებით, პაციენტს აღარ მოუწევს რეცეპტის ქალაქდამატარებლის ტარება-შენახვა. ექიმს პაციენტის ინფორმაციაზე წვდომა ექნება სახელით, გვარით და პირადი ნომრით. რეცეპტი გამოიწერება ელექტრონულად, აღარ იქნება საჭირო ფურცელზე დატანა და აფთიაქი, რომელიც ჩართული იქნება ამ სისტემაში, შეძლებს პაციენტის დანიშნულებაზე წვდომას მისი სახელის, გვარის და პირადი ნომრის საშუალებით. მედიკამენტების დოზირება იქნება წამლების მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, პრაქტიკულად გამოირიცხება შეცდომა მედიკამენტის დასახელებასა და დოზირებაში. ამასთან ექნება წვდომა როგორც ჯანდაცვას, ისე პროფესიულ ასოციაციებს და ეს იქნება უმძლავრესი ინსტრუმენტი ხარისხის კონტროლისთვის, რაც ჩვენი პრიორიტეტია“, - განაცხადა დავით სერგენჯომ. მისივე თქმით, ამ ინსტრუმენტით ჯანდაცვის სამინისტროს არამხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ კოლეგიალური ინტერაქციის საშუალება მიეცემა იმ მედიკოსებთან, ვინც არამიზნობრივად ბევრ მედიკამენტს უნიშნავს პაციენტს. „ასეთ ექიმებთან, ვინც აუცილებელზე და ჯერადობით მეტ მედიკამენტს უწერს პაციენტებს, ელექტრონული რეცეპტი კოლეგიალური ინტერაქციის მძლავრი ინსტრუმენტი იქნება ჯანდაცვის სამინისტროსთვის,“ - განაცხადა დავით სერგენჯომ. (გაგრძელება გვ. 2).

3  
„მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტომ“  
კრიტიკული  
ინფორმაციული  
სისტემების  
სუბიექტებთან  
შეხვედრები  
გამართა



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) ელექტრონული რეგისტრის ტესტირება 2016 წლის 1 აგვისტოს დაიწყო და მასში ჯანდაცვის პროვაიდერი, საოჯახო მედიცინისა და ფარმაცევტული ქსელებიდან, ასევე აფთიაქებიდან სუბიექტები შეზღუდული რაოდენობითა და სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით ჩაერთვნენ. ელექტრონული რეგისტრის საქართველოს ყველა სამკურნალო და სააფთიაქო დაწესებულებაში ეტაპობრივად გავრცელდება და ყველა მსურველს ცხელ ხაზზე დარეკვით სისტემაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცემა. თავდაპირველად ელექტრონულ რეგისტრზე გადასვლა ნებაყოფლობით, შემდგომში კი სავალდებულო წესით მოხდება.

## „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ „კიბერკლასის“ პროექტის ფარგლებში მსმენელთა მეორე ნაკადის მიღება დაიწყო



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE დაინტერესებულ სტუდენტებს კვლავ იწვევს სასწავლო კურსზე, რომლის მიზანია პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტების დაეხმარება კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ათვისებაში, ასევე მათთვის სააგენტოში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნის გაზიარება.

პროექტი „კიბერკლასი“ სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდეგ დისციპლინებში: სისტემაზე ინფორმაციის შეგროვება, კომპიუტერული ექსპერტიზა, შეღწევადობის ტესტირება, მავნე კოდის ანალიზი, ე.წ. „Pcap“ და ლოგ ფაილების ანალიზი, ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები.

იმისათვის რომ, სტუდენტმა შეძლოს აღნიშნული კურსის გავლა, აუცილებელია ფლობდეს საბაზისო ცოდნას შემდეგ სფეროებში: ნეტვორკინგი, კრიპტოგრაფია და ვებ-დეველოპმენტი (Networking, Scripting, Web development).

სრული კურსი მოიცავს 7 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებულია ერთი 2-3 საათიანი ლექცია. ყოველი ლექცია თეორიულ მასალასთან ერთად მოიცავს სპეციალურ ლაბორატორიულ სამუშაოს. კურსისთვის მომზადდება შესაბამისი სახელმძღვანელოები და პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე მოწვეული იქნება არაერთი ექსპერტი და დარგის სპეციალისტი კონკრეტული თემის მიხედვით პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად.

თითოეული ლექცია ჩატარდება შემდეგი გეგმის მიხედვით: პრეზენტაცია და წინასწარ დაგეგმილი თემის მოკლე განხილვა; ლაბორატორიულ სამუშაოების ირგვლივ დისკუსიები და სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციების განხილვა; წინასწარ განსაზღვრული თემის შესახებ მასალის მიწოდება; ლაბორატორიული სამუშაოს ახსნა და დავალების მიცემა.

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეწყოს ახალი პროექტი, რომელსაც „კიბერკლასი“ ვუწოდებთ და რომლის მიზანია ახალგაზრდებს მივცეთ შესაძლებლობა უფასოდ გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. პროექტმა გაამართლა და დღეს ჩვენ უკვე მსმენელთა მეორე ნაკადის მისაღებად ვემზადებით. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, უშუალოდ დარგის სპეციალისტების მიერ მომზადებული სასწავლო პროგრამის მიხედვით შეიძინონ საბაზისო ცოდნა კიბერუსაფრთხოების საფუძვლებში“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

„კიბერკლასის“ მორიგი სასწავლო კურსი მიმდინარე წლის 31 სექტემბრიდან დაიწყება.

კურსზე რეგისტრაციის მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 სექტემბერი, 2016

დაინტერესებულ სტუდენტებს დამატებითი ინფორმაციისა და კურსზე რეგისტრაციისთვის შეუძლიათ მიმართონ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფს (CERT.GOV.GE). ტელ.: 291 51 40; [CyberClass@dea.gov.ge](mailto:CyberClass@dea.gov.ge); FB გვერდი: <https://www.facebook.com/certgovge/> / <https://www.facebook.com/CyberCube2016/>

## უზენაეს სასამართლოში სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა



2 აგვისტოს იუსტიციის მინისტრმა და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფთან მეორე შეხვედრა გამართეს. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებთან შეხვედრა, როგორც პირველი შეკრებისას, ამჯერადაც უზენაეს სასამართლოში შედგა.

ახალი ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე სამუშაო ჯგუფმა პირველი შეხვედრიდან დღემდე გაწეული სამუშაო წარადგინა. კერძოდ, ჯგუფმა განიხილა სასამართლოში არსებული პროგრამული უზრუნველყოფა საქმეების განაწილების მოდულის ინტეგრაციის კუთხით; შეაფასა არსებული IT

იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის ბრძანებით შეიქმნა IT ჯგუფი, რომელიც სასამართლოსთან ერთად საქმეების ელექტრონული განაწილების პროგრამაზე მუშაობს. ჯგუფმა პირველი შეხვედრა 12 ივლისს გამართა, დღევანდელ შეკრებაზე კი წინა სხდომის დროს მიღებული დავალებების და შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია გაიმართა. ჯგუფი სექტემბრამდე კვლავ შეიკრიბება და გააგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, რათა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი ერთ-ერთ საპილოტე სასამართლოში დაინერგოს.

სასამართლოში საქმეთა ელექტრონული განაწილება მართლმსაჯულების სისტემაში გამორიცხავს ყველანაირ კორუფციას და პიროვნულ მიდგომებს, თავმჯდომარეების მხრიდან ერთპიროვნულ გადაწყვეტას – ვის დააკისრონ ესა თუ ის კომპლექსური ან პოლიტიკურად სენსიტიური საქმე განსახილველად. ეს სისტემა ასევე პოზიტიური ნაბიჯია თავმჯდომარეების საქმეთა განაწილების ტვირთისგან გასათავისუფლებლად.

საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამა მართლმსაჯულების სისტემაში მომავალი წლიდან დაინერგება, როგორც ამას მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღა ითვალისწინებს, და ის უსაფრთხოების მექანიზმების ჩათვლით მართლმსაჯულების სისტემას გადაეცემა.

## „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებთან შეხვედრები გამართა



მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ რამდენიმე შეხვედრა გამართა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებთან (სსიპ. გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, ფინანსური მონიტორინგის სამსახური, სასაზღვრო პოლიცია).

აღნიშნული შეხვედრები გაიმართა მაღალი და საშუალო რანგის ხელმძღვანელობასთან და განხილული იყო ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი

მოთხოვნების შესრულების საკითხები და მათი დანერგვის მიდგომები.

განხილული იყო ასევე არსებული პრობლემური საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან შეთავაზებული იქნა კონსულტაციები და რეკომენდაციები (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3) „ჩვენი სააგენტო მსგავს შეხვედრებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების, ისე კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან. ამასთან, ასეთი შეხვედრებში კანონის მოთხოვნების შესრულების პროცესის ნაწილია, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პროცესში ჩართულობა და მხარდაჭერა კი ხელს უწყობს ორგანიზაციების მიერ სათანადოდ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

## მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) უპირატესობებს ნიგოითისა და ქვემო ნატანების საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ელექტრონული მმართველობის პრინციპების, ელექტრონული სერვისების უპირატესობებისა და მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) გამოყენების შესახებ გაცნობითი შეხვედრების ციკლს აგრძელებს.

მორიგი შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანებში მდებარე საზოგადოებრივ ცენტრებში გაიმართა. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას დეტალურად გააცნეს მოქალაქის პორტალის ([www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)) გამოყენების ინსტრუქცია, ისაუბრეს მის უპირატესობებზე და წარმოადგინეს ყველა ის

მნიშვნელოვანი ელექტრონული მომსახურება, რომელთა მიღებაც მოქალაქეებს დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის მეშვეობით შეუძლიათ.

მოქალაქის პორტალით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი პირადობის მოწმობა, ისე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მიღებაც ერთჯერადი პროცედურის გავლით იუსტიციის სახლებშია შესაძლებელი, უახლოეს მომავალში კი სახელისა და პაროლის დარეგისტრირება საზოგადოებრივ ცენტრებშიც გახდება ხელმისაწვდომი.

მოქალაქის პორტალზე მომხმარებელი რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით იღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდებლების გადახდა. მომხმარებელს, მაგალითად, შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელოდ შეიცვალოს მისამართი, განაახლოს ქონების ამონაწერი, ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ან დაარეგისტრიროს კომპანია და წამოიწყოს ბიზნესი. ყველა მომსახურება შესაბამისი კატეგორიების მიხედვითაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველის არჩევას. მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს მისთვის საჭირო ყველა ის მომსახურება, რომელსაც ხშირად იყენებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს პირად გვერდზე. დღეისათვის პორტალზე ხელმისაწვდომია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება.

„მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას ელექტრონული მმართველობის, ელექტრონული სერვისებისა და მათი გამოყენების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ჩვენი მიზანია, რომ ელექტრონული მმართველობა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც არის მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის ელექტრონულად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარდეს. აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში მოქალაქის პორტალის მეშვეობით რეგიონების მოსახლეობას კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისების ელექტრონულად მიღების შესაძლებლობაც მიეცემა. ელექტრონული სერვისების გაცნობასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების ძირითადი პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რათა მოქალაქემ მაქსიმალურად დაიცვას თავი მოსალოდნელი კიბერუსაფრთხოებისგან. ეს საკითხი მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამა თუ იმ სერვისის მოხმარებას ეხება“, - **ნიკოლოზ გაგნიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი.

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ  
საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ  
გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება  
მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში  
მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტროთ თქვენი  
ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე:  
[www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს  
საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ